სარჩევი

„თეთრი ქალაქის“ შესახებ 1

ცოტა რამ „ნათლის გვირაბის“ შესახებ 2

იმ ცეცხლის მადლი 8

„თეთრი ქალაქის“ შესახებ

გამოვიდა გიორგი სოსიაშვილის დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუში „თეთრი ქალაქი“. ეს წიგნი არ
მოგვითხრობს მხოლოდ წმინდა მიწაზე მოგზაურობით აღძრულ შთაბეჭდილებებს, არც მარტოოდენ უცხოადგილების მშრალი, ზოგადი აღწერაა, რითაც დღეს ვერავის გააკვირვებ.
„თეთრი ქალაქი“, უპირველესად, მოყვასის ძიებაა, პროზაული გარდაქმნაა ჩვენი უპირველესი სულიერი მოძღვრისშეგონებისა „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ამ წიგნში მოყვასის ძიებაში არიან ქართველებიც და საქართველოდან ამოსული ებრაელებიც. ეს ჩანაწერები ადამინაური ყოფის არსზე დაგაფიქრებს; აქ არის
გამუდმებული ფიქრი საკუთარ ქვეყანასა და ერის ხასიათზე; უცხო მიწაზე წასული მოგზაური (ავტორი) მთელითავისი გონებითა და განცდით მაინც საქართველოში იმყოფება, მისი ფიქრი გამუდმებით სამშობლოს დასტრიალებს.
მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული კიდევ უფრო ღრმად რომ შეიგრძნო, თითქოს სასურველია, ცოტა ხნითგანეშორო მას. მაშინ უფრო საამურად ჩაგესმის ყურში ლიახვის ჩხრიალი, უფრო მიმზიდველი ხდება კვერნაქის
ქედიც, გორის ციხეცა და ცხინვალის მიდამოებიც _ აი, ასეთი შეგრძნება გეუფლება „თეთრი ქალაქის კითხვისას.
ვფიქრობ

თამარ გელიტაშვილი

ცოტა რამ „ნათლის გვირაბის“ შესახებ

ქართული ანდაზაა ასეთი: „მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო“. მღვდლისა არ ვიცი, მაგრამ მწერალი კი ნამდვილად იცნობა ოსტატურ სიტყვათქმაში. ვინც მხატვრული სიტყვის ძალას ვერ გრძნობს და მისი გამოსახვის უნარიც არ შესწევს, თავს იოლად იძვრენს და დღეს ჩვენს ლიტერატურაში გაბატონებულ სამწუხარო მოდას მისდევს – მწირსა და ღარიბ ლექსიკას უშვერ ლანძღვა-გინებასთან აზავებს და ზღვარგადასული უცენზურობის კორიანტელს აყენებს. არა და, მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, სადაგი სიტყვის მხატვრულ სიტყვად, სახეობრივ მეტყველებად გარდაქმნის ხელოვნებაა. სწორედ ამგვარი ნიჭით არის დაჯილდოებული გიორგი სოსიაშვილი.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში ახალი თემა გაჩნდა – „მავთულხლართი“. ეს თემა გიორგი სოსიაშვილმა შემოიტანა და ამდენად, ეს პროზაიკოსი, სხვა მწერლურ ღირსებებთან ერთად, ამითაც არის გამორჩეული. გარდა ამისა, მის შემოქმედებით თვითმყოფადობას ისიც განაპირობებს, რომ მოქმედ პირთა მხატვრულ სახეებს მათი მეტყველებისა და სიტუაციური ხატვის მეშვეობით ქმნის.

გიორგი სოსიაშვილის პერსონაჟთა მეტ ყველება, ერთი შეხედვით, უცნაურობის განცდასაც კი ბადებს, რადგან ხშირად წაშლილია ზღვარი ავტორისა და პერსონაჟის ხატოვან მეტ ყველებას შორის. მაგალითად, მოთხრობა „მამლის წელის“ მთავარი გმირი გუჯა, რომელსაც ისე ძალუმად ენატრება ოკუპაციის შედეგად დაკარგული მშობ ლიური კარ-მიდამო, რომ მოჩვენებებიც კი დაეწყო და სათამაშო მამალს ლიახვის ხეობაში ჩარჩენილ თა ვის ცოცხალ მამალთან აიგივებს, ასეთ სიტყვებს ამბობს: „ამოჩემებული ჰქონ და [მამალს] – სახლის წინ სიმონა მსხალი გვედგა, იქ ათენ-აღამებდა. წვიმა იყო თუ დარი, სიმონა მსხალზე **მთვარიანად კენკავდა ცაზე ვარსკვლავებს ღილა რო შემოეყვანა“.**

ცალკე აღებული ასეთი ფრაზა ხელოვნურადაც კი მოეჩვენებოდა კაცს, მაგრამ გიორგი სოსიაშვილის ტექსტში ამ გვარი მეტყველება, ამ გვარი ხატოვანება პერ სონაჟის პიროვნული ბუ ნების, ხა სიათისა და სა დაურობის განმსაზღვრელიცაა; აქ იხატება მისი სულიერი მდგომარეობაც, მშობლიური გარემოს გაუნელებელი სიყვარულიცა და მონატრებაც. ასეა მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც და ეს განსაკუთრებულობა გამოარჩევს მას.

მდიდარ ლექსიკას, ხატოვან სიტყვათქმას, როგორც ითქვა, პერსონაჟთა პიროვნული ინ დივიდუალობის წარმოჩენის საშუალებად იყენებს მწერალი. უპირ ველესი საფუძველი ამისა ის გახლავთ, რომ გი ორგი სო სიაშვილის პერსონაჟები იმ კუთხის შვილები არიან, სა აც საგანგებოდ და იარებოდა მი ხეილ ჯა ვახიშვილი საკუთარი მწერლური ლექსიკა რომ გაემდიდრებინა. საოცარი ძარღვიანობა და სილაღე ჩანს ლიახვისხეობელთა მეტყველებაში. მათი ენა თითქოს მათივე გა რემოს ნაწილია, მათივე ბუნება-ხასიათის თა ნაზიარია. სწორედ ეს ბუნებრიობა გად მოიტანა ქაღალდზე გიორგი

სოსიაშვილმა თა ნდაყოლილი ნიჭისა და წერის გან საკუთრებული უნარის წყალობით. მისი ნაწარმოებები, მაღალმხატვრულობის პარალელურად, იგავურიცაა, დიდაქტიკურიც და გროტესკულიც. ამ ყველაფერს კი ხშირად სევდანარევი იუმორი გასდევს. გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებითი ქარგა მშობლიური მიწის გაუნელებელ დარდსა და ტკივილზეა გამოჭრილი. მწერლის ბოლოდროინდელმა, მრავალფეროვანი თემატიკით დატვირთულმა თხზულებებმა, რომ ლებიც შესულია კრე ბულში „ნათლის გვირაბი“, კიდევ უფრო გაამდიდრა მისი შემოქმედება, უფ რო საინტერესო და შინაარსიანი გახადა იგი.

ეს ნაწარმოებები, რომლებიც ეს თეტიკური მომხიბვლელობით გამოირჩევა, პერსონაჟთა ფსიქოლოგიურსა თუ ყოფით პრობლემებზე მოგვითხრობს და ცხოვრებისეულ სირთულეებსა და მათი გადაჭრის გზებზე ჩაგვაფიქრებს. მათი წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „მართლის თქმის“ პრინციპს ჩვენში ყავლი არასდროს გასვლია. საქვეყნო სატკივარზე, ნაციონალურ მანკიერებაზე ფიქრი და განსჯა ბედისწერად ექცა ქართველ მწერალს. სიმართლის მალვა ქვეყანას არ წაადგება! – ამგვარია გიორგი სოსიაშვილის მიდგომა საკუთარი მხატვრული შემოქმედებისადმი. მისი მწერლური პოზიცია ზუსტად ესატყვისება გურამიშვილისეულ ფორმულირებას: „მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს“.

მოთხრობაში „დანიელები“ მკაცრად, შეულამაზებლად არის და ხატული ჩვე ნი ყო ფითი რეალობა. ომის ქარცეცხლმა კი არ შეკრა და შეადუღაბა საოკუპაციო ხაზის პირას მცხოვრები ხალხი, პირიქით, ბოღმისა და შურის ტყვედ აქცია. ყველასა და ყვე ლაფერს ეჭვის თვალით უმ ზერენ; მათთვის უცხო გამხდარა მოძმისთვის გაწეული სიკეთით და მაშვრალობა, ამიტომაც არ სჯერათ თანასოფლელი მათეს უანგარობისა, რომელმაც დიდი ძალისხმევისა და მცდელობის შემდეგ სოფელში, ჰუმანიტარული მისიით, დანიელები ჩამოიყვანა ერთი სატვირთო მანქანაზე თითა და მაკარონით. ეჭვი არ ასვენებთ, ჰგონიათ, ამ ყმაწვილმა კაცმა მათზე მეტი სარგებელი ნახა, მათზე მეტი მიითვისა და მიისაკუთრა.

ზეთ სა და მა კარონს მი სეული ხალ ხი უგუ ნურ ბრბოდ ქცე ულა, რო მელიც იმი ტომ კი არ ეძა ლება ასე ხარბად ჰუ მანიტარულ დახ მარებას, რომ მში ერი არ დარჩეს, არა მედ იმი ტომ, რომ სხვამ მას ზე მე ტი არ წაიღოს, სხვას მას ზე მე ტი არ შეხ ვდეს.

ზეთისა და მაკარონის დატაცების შემდეგ სოფელმა დიდებული სუფრა გაუშალა დანიელებს. რა არის ეს – სტუმართმოყვარეობის ქართულ-კავკასიური საუკუნოვანი ტრადიციის პატივისცემა თუ ამ პარტავნობის გამოვლინება?! ეს კითხვა უთუოდ და ისმის „დანიელების“ წაკითხვისას და მოთხრობაც სამწუხარო დასკვნას ცხადყოფს: ეს უცხოს თვალში ღირსეულად წარმოჩენის სურვილია მხოლოდ, ეს კუ დაბზიკობა-ამპარტავნობის გამოვლინებაა ღირსებადაკარგული ხალხის მიერ. როგორც ჩანს, ეს მანკიერება ვერა და ვერ დავძლიეთ, ვერ ამოვძირკვეთ ჩვენი ხასიათიდან, რომელსაც უცხოელი მწერალ-მოგზაურნიც მშვენივრად ამჩნევდნენ. ამას აღნიშნავენ შარდენიც, გამბაც, დ უმაც...

მართალია, მოთხრობაში ომის შემდგომი პერიოდია ასახული და, ბუნებრივია, ომმა თავისი დაღი დაასვა ადამიანთა ფსიქიკას, მაგრამ მარტო ომს

ვერ დავაბრალებთ პერსონაჟთა გაუკუღმართებულ ფიქრსა და ქმედებას, მით უფრო, უზომო ამპარტავნობას.

გურამ ასათიანი ქართულ ეროვნულ თვისება-ხასიათზე მსჯელობისას ესეში „სათავეებთან“ წერს: „ჩვენ გამუდმებით სცენაზე ვდგავართ და სხვის დასანახავად ვთამაშობთ“. თუ ეს მანკიერება არ მოვიშალეთ, სულხან-საბას თქმისა არ იყოს: „რაისა ბოროტსა მოვიკვეთთ?“ აგერ XXI სა უკუნემდე გა მოგვყოლია კუდაბზიკობა – ეს ფსევ დოფეოდალური, ფსევ დორაინდული თვისება. მწერლობა მოვალეა, ერს საკუთარ ნაკლზე მიუთითოს და ამაზე დაგვაფიქროს. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები სწორედ ამისდას ტურია.

•

ლევან ბრეგაძე წიგნში „მარგინალიები“ ამ ბობს: „დედა!!! რა არის ეს?! – კოლოსალური ინფორმაცია პაწია ფრაზაში!“

დედა! – რა პატარა სიტყვაა და როგორი ტევადი. დიდ სიყვარულს აუფასურებს უხვსიტყვაობა. ალბათ, ამიტომაც ეტევა ოთხ ასო-ბგე რაში დედაშ-ვილობის დია დი გრძნობა, არა, ორშიც თავისუფლად თავსდება – დე!

ქართულ მეტ ყველებაში მხოლოდ ეს ერთი მარცვალია, რომელიც ზუსტად გამოხატავს ჩვენს დამოკიდებულებას უძვირფასესი არსების მი მართ. ამ აზრობრივი შინაარსის შემცველია გიორგი სოსიაშვილის ნოველა „წრფე ლობითი“. ამ პა ტარა თხზულებამ უზარმაზარი სიყვარული და იტია, ზუსტად ისეთი, როგორითაც ბავშვებს უყვართ დედა. პატარები ხომ წრფელი გულითა და, რაც ყველაზე მთავარია, მთელი არსებით ეთაყვანებიან საკუთარ ღმერთქალს. ამიტომაც ცდილობს ნოველის მთავარი პერსონაჟი თორმეტი წლის ბიჭუნად გარდასახვას, უფრო წრფელი, უფრო ბუნებრივი სახე რომ მისცეს მშობლის ალერსს. მერეც, მოწიფულობაშიც, დედა ყველა ზე დიდი საყრდენი და ის ადამიანია, ვისი სახელდებაც – „დედა, დედამ, დედას, დედის დედავ... ყველა ბრუნვაში მაგარია, მაგარი!“ თუმც, ძვე ლად, ძველ ქართულში უკე თესი იყო. ახლა წრფე ლობითი ბრუნვა აკლია, იმ შვიდ ბრუნვაზე კიდ ევ უფ რო მომ ცრო, მაგრამ ყველაზე დი დიინ ფორმაციისა და აზ რის შემცვლელი: **„დე, აი, ეს ორი ასო-ბგერაა მთელი სამყაროს ფილოსოფია“**, – ამ ბობს მწერალი.

უდიდესი ადამიანური სითბოს დამტევ ამ პატარა ნოველაში თითოეული სიტყვა გასაოცარი სისათუთით არის გაჯერებული და ერთგვარი ნუ გეშითაც გვავსებს, რომ **„სიკ ვდი ლი დე დას ვერ კლავს, დე და ბავშვობაში დარხეული ბგერების მსგავ სად ტრიალებს უსასრულო ბაში“.**

•

ცხოვრებას პარადოქსები უყვარს. ეს არაერთხელ ასახულა ჩვენს ლიტერატურაშიც. შემთხვევითობის წყალობით აღზევებული და გადიდკაცებული მდაბიოს დაუვიწყარი სახეები შექმნეს მიხეილ ჯავახიშვილმა („დამპატიჟე“, „ჯაყოს ხიზნები“) და პოლიკარპე კაკაბაძემ („ყვარყვარე თუთაბერი“). გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „კოჭლი ცხვარი“ ამ თემატიკის გაგრძელებაა.

ნათქვამია: „ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცევაო“. ასე მოექცა სათავეში სალოცავს შეთქმული, შესაწირად გამზადებული კოჭლი ცხვარი. ავდრის დროს, ელვასა და ჭექა-ქუხილში გაბნეული ფარის წინამძღოლი დაიბნა, ორიენტაცია დაკარგა და შებრუნებული ფარის ბოლოში აღმოჩნდა, დასაკლავად განწირულმა კოჭლმა ცხვარმა კი ამით ისარგებლა და მისი ადგილი დაიკავა.

გიორგი სოსიაშვილმა კოჭლი ცხვრის იგავი მხატვრულად შეურწყა მოთხრობის მთავარ სიუჟეტურ ხაზს და თავისი სათქმელი ასე მიიტანა მკითხველამდე.

ელვა და ჭექა-ქუხილი ალეგორიული სახეა რევოლუციისა, რომლის წყალობითაც აღზევებულმა მედროვე მდაბიოებმა: სამხედრო კომისარმა, ნადეზერტირალმა კალემ და მენახირე დურუმ (დურმიშხანმა), რომელსაც მეტსახელად „კოჭლი ცხვარი“ შეარქვეს, მართვის სადავეები იგდეს ხელთ, წურბელებივით მოასხდნენ ხალხს კისერზე და ერთიანად სწოვენ სისხლს – ჭამენ და ნთქამენ სხვისი ოფლით ნაშოვნ ქონებას. ვინც ნებით არ დათმობს, ძალით ართმევენ.

რევოლუციის „მონაპოვარიც“ სწორედ ეგ არის – ოდესღაც შიშველ-ტიტველ, მშიერ-მწყურვალ ტეტიას რომ პირველ კაცად აქცევს და ეს სამადლოდ გამოზრდილ-შემოსილი მდაბიოც გამხეცებული ცდილობს ხალხის „მომწყემსვას“. ზნეობა მათ არ აწუხებთ და მორალი, მაშ, რამ უნდა შეაჩეროს, რამ უნდა შეაბრკოლოს მათი აღვირახსნილი ქმედება?!

„მართალია, სწავლა-განათლება არა მაქვს ან სად უნდა მესწავლა, როდის უნდა მესწავლა, წვალებ-წვალებით ძლივს მოვაღწიე აქამდე, მაგრამ ამათ მართვას ბევრი წიგნების კითხვა სულაც არ სჭირდება... ჩემზე ნასწავლები არიან, მაგრამ ამოდენა რამეს ვერ აღწევენ, რასაც მე მივაღწიე. რევოლუციას არ უყვარს ნასწავლი ადამიანები. ნასწავლი ადამიანის გაკეთებული საქმე ვის უნახავს ნეტავი...“ – ფიქრობს კოჭლი ცხვარი – ყოფილი მენახირე და აწ უკვე მაღალი თანამდებობის პირი, გადიდკაცებული გაიძვერა, რომლის მიმართაც სარკაზმს არ იშურებს მწერალი: „რა იცოდნენ ძროხებმა, როგორი რევოლუციონერი დაჰყვებოდათ... რევოლუციამ ერთი კარგი მენახირე წაგვართვა“.

კოჭლი ცხვარი რევოლუციის ისეთივე მუნი, ტკიპა და წურბელაა, როგორიც ჯაყო, ყვარყვარე და დამპატიჟე, თანაც საგულისხმო ის არის, რომ შემთხვევითობის წყალობით აღზევებულმა ამ სამივე მედროვემ ყველაზე მეტი ზიანი იმ ადამიანს მიაყენა, ვინც ჩააცვა და დაახურა, ვინც აჭამა და ასვა. ასე მოიქცა დამპატიჟეც, ჯაყოც, ყვარყვარეც, კოჭლი ცხვარიც. ლოპრე ტარიელას ბიჭმა დურომ, როგორც მას კუთხურობისთვის დამახასიათებელი სახელით მოიხსენიებს მწერალი, ის კაციც კი არ დაინდო, რომლის მენახირედაც იდგა და რომლის დახმარებითაც ედგა სული. როგორც ჩანს, მხოლოდ ეპოქა იცვლება, ეს პრობლემა კი მარადიულად რჩება ჩვენში.

მოთხრობაში განსაკუთრებულად თვალშისაცემია ერთი დეტალი. ყოფილი მენახირისგან შეურაცხყოფილდაზარალებული ავთო, ერთ უვნებელ, მაგრამ მეტყველ შურისძიებას მიმართავს – თხილის სახრეს გამოჭრის და თავის ყოფილ მენახირეს, ამჟამად კი ბატონ დურმიშხანს, კედელზე მიუყუდებს, თანაც

მის ხელქვეითებს დაუბარებს:

„ეგ ჯოხი უფროსს აუტანეთ და ეგრე გადაეცით, რომ შენი სოფლელი ავთო იყო ჩამოსული. ესე გვითხრა, რომ სულ ამ კაბინეტში არ იჯდები. კოჭლი ცხვრები მალე ამთავრებენ ფარის სათავეში ყოფნასა და აეს ჯოხი შეინახე, კარგა შეინახე, ნახირი გელოდება, უბნის ნახირი-თქო“.

კედელზე მიყუდებული სახრე მკითხველს იმ მარტივ ჭეშმარიტებას შეახსენებს, რომ ამქვეყნად მარადიული არაფერია, მითუმეტეს დაუმსახურებლად, შემთხვევით მიღებული თანამდებობა და ასე შემთხვევით აღზევებულსა და გაზულუქებულ მედროვე მდაბიოს, ოქროს თევზისა და მებადურის ზღაპრისა არ იყოს, ბოლოს მაინც იმ ადგილას დაბრუნება მოუწევს, საიდანაც ამოვიდა. გარდა ამისა, სახრე, ერთგვარი მეტაფორაც არის მწერლობისა. მწერალი სახრემომარჯვებული კა-ცია, რომელიც მკაცრად უნდა ამათრახებდეს ერის სულში ჩაბუდებულ მანკიერებებს. აი, ასეთ სამსახურში დგას გიორგი სოსიაშვილი, რომლის მოთხრობებიდანაც გამუდმებით გაისმის მწვავე, მამხილებელი სიტყვა. მის ამგვარ თხზულებებს ერთი მიზანი აქვს მხოლოდ – ის, რაც ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად გამოხატა „კაცია-ადამიანის?!“ შესავალში: სარკეში ჩაგვახედოს და ჩვენი უარყოფითი თვისებების გამოაშკარავებით გამოსწორების გზაზე დაგვაყენოს.

•

თუ „დანიელების“ პერსონაჟთა საქციელი მაინც შეგვიძლია, ომის შედეგად დაღდასმულ ყოფას დავაბრალოთ, მოთხრობა „მუხას“ მოქმედ პირებს არაფერი აქვთ საერთო არც ომის ქარცეცხლთან, არც ოკუპაციის მარწუხებთან. ამ ნაწარმოებში მწერალმა ზნეობრიობის მოშლის, სულიერი დაცემა-დამდაბლების საკმაოდ მძიმე სურათი და სამწუხარო რეალობა წარმოგვიდგინა.

აქ უკვე უცხოს – მომხდურსა და მოძალადეს – ვერაფერს დავაბრალებთ, მიზეზი ჩვენშია, ჩვენი ზნეობაა მოშლილი და მორღვეული. ამიტომაც საკმაოდ მწვავედ გაისმის მწერლის გაუნელებელი წუხილი და მამხილებელი ხმა – „თქვენ ცუდად ცხოვრობთ, ბატონებო!“

მოთხრობა „მუხა“, როგორც აღვნიშნე, ქართულ სინამდვილეს ეხმიანება და მასში გროტესკულად არის ასახული ჩვენს ლიტერატურულ წრეებში, მეტიც, ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული შური, ბოღმა, ურთიერთქიშპი და ერთმანეთის გაუტანლობა.

მიკროავტობუსი, რომელშიაც მწერლები და პოეტები იყრიან თავს, რომელიღაც გაურკვეველ ფესტივალზე გასამგზავრებლად, ჩვენი საზოგადოების მიკრომოდელია (შეგნებულად ვთქვი სიტყვა „გაურკვეველი“, თუ რატომ, ამაზე ცოტა ქვემოთ...). ავტობუსში თავმოყრილი ადამიანები ხანდაზმული მწერლები არიან, რომელთაც პირველობის ამბიცია ჰკლავთ, საკუთარი ნაწარმოები შედევრი ჰგონიათ და სხვისი შემოქმედება განქიქების ობიექტად გადაუქცევიათ. ეს ის ხალხია, თავიანთ თავს ქვეყნის უპირველეს შემოქმედად რომ მიიჩნევენ და ნაირნაირი ლიტერატურული პრემიებისა თუ ჩინ-მედლების ფრიალით, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ როგორმე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა

პანთეონშიც დაჯავშნონ ადგილი. ასეთია ადამიანის ბუნება – სიცოცხლეში პრემიების მოპოვებაზე ხოცავენ ერთმანეთს და ახლა სიკვდილზეც ხომ უნდა იზრუნონ.

მოთხრობა „მუხა“ გროტესკული რეალიზმის ნიმუშია, სადაც, მკაცრად არის გამათრახებული ჩვენი შურითა და ბოღმით აღსავსე საზოგადოება, დაგმობილი და გაბითურებულია ლიტერატურული ფესტივალები და პრემიები. მიუხედავად იმისა, რომ მიკროავტობუსის მგზავრებმა იციან, სულ ტყუილად მიემგზავრებიან ფესტივალზე, რადგან ჩვენთან ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ფორმალურია და პრიზები და ჯილდოები მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებისთ-ვის რიგდება, მაინც მიდიან. მიდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთის ლანძღვით გული იჯერონ, შემდეგ კი გაუთავებელი საჩივრები და ანონიმური წერილები აგზავნონ, სადაც ჯერ არს. ასეთი ფესტივალები სიყალბეა, ფარსია, მოჩვენებითია. ამიტომაც ქრება მოთხრობის ბოლოს მიკროავტობუსის მძღოლიც, რომელსაც არარსებულ ფესტივალზე დასასწრებად მიჰყავს ხალხი (ამიტომაც ვახსენე თავში „გაურკვეველი ფესტივალი“) და ქრებიან მგზავრებიც. ამ ადამიანთა ყოფა, მათი გამუდმებული ბრ-ძოლა პრემიებისა და ჯილდოების მოსაპოვებლად – ილუზიურია და მირაჟივით ქრება, ნისლივით იფანტება, რადგან მკითხველი საზოგადოება ხელოვანს მისი შემოქმედებით, მის მიერ შექმნილი მხატვრული პროდუქციით აფასებს და არა რეგალიებით.

მგზავრებგამქრალ მიკროავტობუსში მხოლოდ ორი ადამიანი რჩება. ერთი ხანდაზმული და მეორე – ახალგაზრდა. ხანდაზმულის პროტოტიპი, გავბედავ და ვიტყვი, ჩემი ვარაუდით, ახლახან გარდაცვლილი გორელი პოეტი გიორგი მახარობლიძეა, რომლის სახითაც მწერალმა თავმდაბლობა, ზნეობრიობა და სიყვარული დაუპირისპირა დემორალიზებულ საზოგადოებას: „არა მგონია, რო შენხელა სიყვარულის კაცი კიდევ დაიბადოს. რა ვიცი, რა დავარქვა, მოხვედი, გაგვათბე, იშვიათი სიყვარული დაგვიტოვე და მერე წახვედი... არც ერთი პრემია რო არა გქონდა, მაგრამ ამ დროს ყველაზე დიდი პრემია კი მოგენიჭა – სიყვარულის პრემია“. თუ ჩემ მიერ გამოთქმული ვარაუდი სწორია, მაშინ იმის თამამად განცხადებაც შეიძლება, რომ დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ იკარგებიან.

ნაწარმოების დასასრულ ხანდაზმული კაცი ახალგაზრდას, ანუ მომავალ თაობას, მუხის ნერგს გადასცემს და მის დარგვას ურჩევს. მუხა, მერქნის სიმტკიცის გამო, უკვდავების სიმბოლოდ ითვლება. მწერალსაც სწორედ ამის თქმა სურს: ხელოვანმა თავისი შემოქმედებით სიყვარული უნდა მოიპოვოს საზოგადოებაში, მხოლოდ ამ გზით შეძლებს უკვდავყოს საკუთარი სახელი, რომელიც მუხასავით ფესვმაგარი იქნება და დროს გაუძლებს, ხოლო მათი სახელები, ვინც მხოლოდ ჯილდოს მოპოვებაზეა ორიენტირებული და დაუმსახ-ურებელ დიდებას ეძიებს, ისევე გაქრება ხალხის მეხსიერებიდან, როგორც მოთხრობის ბოლოს ავტობუსის გამქრალ-გაუჩინარებული მგზავრები. სწორედ ეს არის გიორგი სოსიაშვილის მთავარი სათქმელიცა და მისი მოთხრობის სიღრმისეული ქვეტექსტიც.

წინამდებარე კრებული, როგორც ითქვა, მრავალფეროვანი თემატიკით არის დატვირთული, საიდანაც საცნაურდება ავტორის წუხილი ჩვენი გაუკუღმართებუ-ლი ყოფისა თუ გაუცხოებული ადამიანური ურთიერთობების გამო, მაგრამ მის

საერთო სახელწოდებად მაინც იმედითა და ოპტიმიზმით სავსე სათაურია გამოტანილი – „ნათლის გვირაბი“. წამოჭრილ პრობლემათა სირთულის მიუხედავად, კალმოსანი მაინც ოპტიმისტურად უყურებს მომავალს, რადგან შესანიშნავად იცის, რომ მწერლობა თანაგრძნობა და თანალმობაა, დაჩაგრულის გამოქომაგებაა. ასეთია გიორგი სოსიაშვილის მწერლური მრწამსიცა და შემოქმედებითი პათოსიც.

კიდევ ბევრი დარჩა სათქმელი გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებსა და ნოველებზე, მაგრამ, ბუნებრივია, ამ ყველაფერს შესავალი წერილი ვერ დაიტევდა. ამასთან, ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, მკითხველს უნდა დავუტოვოთ ადგილი სააზროვნოდ. იმედი მაქვს, მოაზროვნე მკითხველი ბევრ საგულისხმოს იპოვის „ნათლის გვირაბში“.

იმ ცეცხლის მადლი...

იოლი არ არის ზიდო ტვირთი მწერლისა. ეს ტვირთი კიდევ უფრო მძიმდება, როდესაც საქმე წმინდანის ცხოვრების აღწერას ეხება. ამის არაერთი მაგალითი მოგვეპოვება ჩვენს ლიტერატურაში. უპირველესად, ალბათ, იოვანე საბანისძის შიში და ძრწოლა გაგვახსენდება იმ მისიის აღსრულების წინ, რომელიც კათოლიკოსმა სამოელმა დაავალა _ აღეწერა ახალმოწამის, აბო თბილელის მარტვილობა; ან გიორგი მერჩულე _ წმინდა ბერის, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერისას თავს უღირსად რომ მიიჩნევს, ამ მეტად გაბედულ ნაბიჯს კი საკუთარ `ნაკლულოვანებას~ მიაწერს.

ეს წიგნი არ მოგვითხრობს ერთი კონკრეტული წმინდანის შესახებ, თუმც მისიაც და მისგან გამოწვეული შინაგანი განცდაც, გარკვეულწილად, დასახელებულ აგიოგრაფთა ემოციის თანაზიარია _ `თეთრი ქალაქის~ ავტორმა წმინდა მიწაზე მოგზაურობისას აღძრული შთაბეჭდილებები და ამ ღვთაებრივ სამკვიდრებელზე მომხდარი საკრალური ამბები მხატვრულად გარდათქვა და პოლიჟანრული ნაწარმოების დასრულებული სახე მოგვცა. ამ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში ერთმანეთს რამდენიმე ჟანრი ერწყმის: ისტორიული თუ სათავგადასავლო, დრამა თუ ტრაგედია. მისტიკურ-ალეგორიული პლანი თუ ირეალურ სამყაროში გარდასახვა, რეალისტური პლანის პარალელურად, ბელეტრისტიკის ნიმუშსაც იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთში ირევა ცხადი და სიზმარი, სინამდვილე და წარმოსახვა, ოდნავადაც არ ირღვევა ტექსტის საერთო არქიტექტონიკა. აქ ფურცელ-ფურცელ, სტრიქონ-სტრიქონ ცოცხლდება ძველი და ახალი აღთქმისეული ეპიზოდები, ჩვენი უძველესი და უახლესი ისტორიის ფაქტები; ინტენსიური ლირიკული ჩანართები და მისტიფიკაციები ხატოვანებასა და ფერადოვნებას სძენს ტექსტს; ამ წიგნში მოქმედ პირთა მთელი გალერეაა.

მწერალი იგივე ქურუმია, ღვთისმსახურია. მან მიწიერსა და მიღმიურს შორის გამტარის, მედიუმის როლი უნდა შეასრულოს, ახალი რეალობა უნდა შექმნას, ამისათვის ბეწვის ხიდზე მარჯვედ უნდა გაიაროს. იოლი არ არის ასეთ ტვირთს შეეჭიდო _ დიდი ხნის წინ დაწერილსა და მისხალ-მისხალ გადაღეჭილ, თითოეული მარ- ლთმორწმუნე ქრისტიანის გონებაში ღრმად აღბეჭდილ ცალკეულ ეპიზოდებს მათი უპირველესი წიგნიდან ახალი სუნთქვა შესძინო, მხატვრული ელფერი მიანიჭო და ისე მიიტანო მკითხველამდე, რომ

ბეწვის ხიდი არ ჩაგიწყდეს. სწორედ ამიტომაც გაუძნელდა `თეთრი ქალაქის~ ავტორს ამ წიგნის დაწყება, ამიტომაც გასაგებია მისი შინაგანი ფორიაქის მიზეზი. არაფერი უფლის ნების გარეშე არ ხდება. ყველაფერს თავისი დრო აქვს ამქვეყნად. ჰოდა, ამ წიგნის შექმნის დროც თავიდანვე განსაზღვრა უზენაესმა. ჯერ შთაგონე- ბის წყარო დაუშრა მწერალს, შემდეგ კი კომპიუტერიდან მოულოდნელად სადღაც გაქრა წმინდა მიწაზე აღბეჭდილი ფოტომასალა. სწორედ ამას ეძღვნება `თეთრი ქალაქის~ ერთ-ერთი ქვეთავი, რომელსაც გიორგი სოსიაშვილმა `შიში~ უწოდა. ეს ის შიშია, ყველაზე მეტად რომ უფრთხის ხოლმე მწერალი, ეს შთაგონების დაკარგვის შიშია, საზარლად რომ იმზირება ცარიელი ფურცლებიდან.

ამ თავის მოკლე შინაარსი ასეთია: ფეხმძიმე ქალი ცხრა თვე მუცლით ატარებს შვილს და ბედნიერების მოლოდინშია. სადაცაა საკუთარი სისხლი და ხორცი უნდა დაბადოს, მაგრამ თავს უდიდესი უბედურება ატყდება მკვდრადშობილი ბავშვის სახით, რომლისთვისაც სამოსელიც წინასწარ ჰქონდა შეძენილი და სახელიც შერჩეული. ეს იგავი ალეგორიულად ასახავს `თეთრი ქალაქის~ ავტორის სულიერ მდგომარეობას, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა წიგნის დაწყებას, სახე- ლიც წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და მეგობრებთანაც სიტყვა ჰქონდა ნათქვამი, მაგრამ ისეთივე ხელმოცარული რჩებოდა, როგორც დედა, რომელმაც პირმშოს გარეშე დატოვა სამშობიარო სახლი. სასოწარკვეთილი დედა _ სასოწარკვეთილი მწერალი, აქეთ გაჯიუტებული მუზა, იქით _ გამქრალ- გაუჩინარებული ფოტომასალა. დედობასავით მძიმე ტვირთი ყოფილა წმინდა მიწის შე- სახებ წერა, იმ მიწისა, რომელიც ქრისტიანული სამყა- როს დასაწყისად ითვლება.

ამ ეპიზოდმა უმალ დავით გურამიშვილი გამახსენა, უძეობით შეწუხებულმა საკუთარი ლექსები რომ იშვილა. მართლაც ასეა, ვისაც ოდესმე რაიმე დაუწერია, მისთვის ძალიან ახლობელია ანალოგიური განცდა. შვილის სიყვარულივით ტკბილია საკუთარი შემოქმედება. ამიტომაც ადარებს გიორგი სოსიაშვილი თავის დროებით წარუმატებლობას შვილმკვდარი დედის უნუგეშო მდგომარეობას.

სოკრატე თავის მოწაფეებს უქადაგებდა: თქვენ, ახლა აზრებით ხართ ფეხმძიმედ და მე მათ მომშობიარებაში უნდა დაგეხმაროთო. სწორედ ამას ჰგავს მიწიერი შემოქმედის ყოფა _ გონებაში მომწიფებულ აზრებს ფურცელზე გადმოტანა და სწორი გეზის მიცემა ს ჭირდება. ეს ურთულესი, მეტად მტკივნეული პროცესია, მაგრამ საბოლოოდ_ ძალიან სასიამოვნო. არაფერი უფლის ნების გარეშე არ ხდება და დადგა ამ წიგნის შექმნის ჟამიც. დრო მოვიდა და ყველაფერი დალაგდა, გონებაში მოტივტივე აზრებიც დაილექა, მოულოდნელად უცნაურად გამქრალი ფოტომასალაც გამოჩნდა და მხატვრული სიტყვაქმნადობით ნაძერწი სტრიქონებიც ფურცლებზე მოზაიკასავით გადმოიღვარა. ამასვე მოწმობს ტექსტში შავი ღრუბლებიდან უცაბედად გამომკრთალი ნათელი, რომელიც `თეთრი ქალაქის~ წარმატებით დაწყება-დამთავრების მანიშნებელია, მის დაწყებაში კი კამერტონის ფუნქცია ავტორის რეფრენად ქცეულმა ფრაზამ შეასრულა: `თუ დაგივიწყო, შენ იერუშალაიმ!~

***

ამ წიგნს ოთხი მთავარი პროტაგონისტი ჰყავს. თითოეულის ფიქრს, ემოციას, განცდის სიმძაფრეს, აზროვნების სისადავეს, ქცევისა და მოქმედების მანერას შთამბეჭდავად

გვიხატავს მწერალი. რეციპიენტიც მკა- ფიოდ აღიქვამს მათ შინაგან ბუნება-ხასიათს. ეს თვისება _ მკვეთრად, გასაოცარი ბუნებრიობით გამოძერწოს პერსონაჟთა ხატები, გიორგი სოსიაშვილისთვის არის დამახასიათებელი და ეს განსაკუთრებულობა გამოარჩევს მას. წიგნში შესულ ყოველ თავსა თუ ქვეთავს თავისი აზრობრივი დატვირთვა აქვს. თითოეული მათგანი დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია, საერთო ჯამში კი ერთი მთლიანი მოზაიკა იქმნება. მიუხედავად მრავალფეროვანი თემატიკისა, ამ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზას ერთი საერთო წყარო ასაზრდოებს _ უფლის ღრმა რწმენა და სიყვარული. გარდა ამისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს წიგნი ქართველთა და ებრაელთა ძმობისა და მეგობრობის სადიდებელი ჰიმნიცაა. `თეთრი ქალაქი~ წუხილია ჩვენი წარსულის, კულტურული რეგრესის, დეკადენდიზმის გამო. ის, რაც ისტორიას ჩაბარდა, რაც სამუდამოდ დავკარგეთ, წიგნის ავტორის ოცნებებში ისხამს ფრთებს, ეს ყველაფერი მის სიზმრებსა თუ წარმოსახვებში ხორციელდება, იქნება იერუსალიმის ქართველთა სავანის, ჯვრის მონასტრის დაბრუნება თუ ამ მონასტრის ბნელ ჯურღმულებში თამარ მეფის განსასვენებლის მიგნება. ბნელი, ნესტიანი სარდაფი გარკვეული ქვეტექსტის შემცველია. თვალშეუვლებელი წყვდიადი ჩამოწოლილა ქართველთა ყოფილ სავანეში. იქ გამეფებული სულისშემხუთველი ყოფა სუნთქვას უძნელებს თამარის სამარხის მაძიებელთ. უკუნსა და მასში გამომწყვდეულ მდუმარებას წყლის წვეთის ხმაური არღვევს და ირგვლივ სიმფონიასავით გაისმის. აკი ავტორიც `წვეთის სიმფონიას~ უწოდებს მას.

აქ ბნელი სარდაფი ქართული სიწმინდეების დაკარგვით გამოწვეულ ჩვენს სულიერ მდგომარეობას, სიბნელესა და უმეცრებას აღნიშნავს, წყლის წვეთი კი სიცოცხლის წყაროს, მისი პირველსაწყისის სიმბოლური გამოხატულებაა, მისი არქეტიპია, რწმენაა იმედიანი მერმისისა, მსგავსად სანთლის ალის შერკინებისა წყვდიადთან, როგორც სიკეთის შებრძოლებისა ბოროტებასთან; ტექსტში ხმამაღალი სინანული გაისმის იმის გამოც, რომ, მართალია, `სამყაროს შემოქმედმა მსოფლიოში ყველაზე დიდი პოეტური ნაწარმოები ქართველ კაცს შეაქმნევინა~, მაგრამ ჩვენ არც ამ ნაწარმოების დედანი მოგვეპოვება და არც მისი გენიალური ავტორის ჭეშმარიტი ვინაობა ვიცით.

გიორგი სოსიაშვილის წიგნს სიღრმეს მატებს მისი მრავალპლანიანობა, რომელიც ცალკეულ თავებში იკითხება. ეს პროზაული ქმნილება სიღრმისეული პლასტებით არის გაჯერებული. ღამეულ ხილვებში ამოცისკროვნებული მზე მაცხოვრის ჰიპოსტასია, მისი პარადიგმაა. თუ იაპონია ხი- ლული, რეალური მზის ამომავალი ქვეყანაა, სიმბოლური მზის _ იესოს _ ამომავალ ქვეყნად იერუსალიმი უნდა ჩაითვალოს. ეს სულ სხვა მზეა, თავისი უცნაური, თვალისმომჭრელი სულიერი ნათლით არსობრივად განსხვავებული ხილული მზისგან. ამიტომაც ვერ უსწორებს თვალს მთხრობელი, ამიტომაც განიცდის მისი ხილვისას ენით უთქმელ ნეტარებას (`უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლე- ბათაო" _ რუსთველი); ასევე სიმბოლურია კლდეც, სადაც მზემ (მაცხოვარმა) დაივანა. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, კლდეც, მზის მსგავსად, მაცხოვრის სახე-სიმბოლოა (`ხოლო კლდეი იგი იყო სახეი შენდა ქრისტე~ _ ძლის- პირი), მასზე წითელ ლაქად დარჩენილი მზის სისხლი კი, კაცობრიობის ცოდვათაგან გამოსახსნელად დაღვრილი უზენაესის უბიწო სისხლია (`მზის სისხლით მოსარგლული- ყო ყუმრანის გამოქვაბულები~).

მიუხედავად მზის ამ საყოველთაოდ გავრცელებული სახისმეტყველებითი შინაარსისა, გიორგი სოსიაშვილის წიგნში მზე განსხვავებული ასპექტითაც არის წარმოდგენილი. `ყუმრანის ხილვაში~ ვხედავთ `მკვდართა მზესაც~ (`ჩადიოდა მომაკვდავი მნათობი და სისხლი რჩებოდა უდაბნოში~), რომელიც სააქაოსა და საიქიოს გამუდმებულ ზღვარზე

ყოფნას გამოხატავს, სადაც ცხოველმყოფლად გრძნობ სიკვდილ-სიცოცხლის სიახლოვეს. ამასვე მოწმობს პერსონაჟ ენუქის იგავიც, რომელიც გამხმარ მარჯვენას დაატარებს, როგორც საკუთარ ლეშს, ნიშნად იმისა, რომ სიკვდილის ლანდი განუყრელად თან გვდევს და ადამიანური ყოფის, ჩვენი არსებობის განუშორებელი თანამგზავრია.

***

წიგნი უფლის რწმენითა და სიყვარულით სუნთქავს. მასში წარმოდგენილი დრამა თუ მისტერია მკითხველს თავიდან განაცდევინებს უფლის წამების ენითუთქმელ ვითარებას. ხვდები, რომ ავტორი სულით ხორცამდეა შეძრული ამ სცენების გაცოცხლებისას. ქრისტესთვის მოქნეული თითოეული შოლტის ტკრციალში მწერლის ტკივილითა და სინანულით აღძრული კვნესაც გაისმის. აქ თანაგანცდა და თანატანჯვაა, აქ წუხილია ღალატსა და გაუტანლობაზე, უღმერთობასა და ურწმუნოებაზე (`ადამის ძე ბაბილონის გოდოლის ქონგურზე დგას და უფალს შეჰყივის~). `თეთრი ქალაქი~ საკუთარ ალტრუისტულ შესაძლებლობებზე დაგაფიქრებს, დაგაფიქრებს იმაზე, შეგიძლია თუ არა, სრულიად უანგაროდ, მოყვასს ჯვრის ტარებაში შეეხიდო და მისთვის კვირინელობის იმედად იქცე. დასასრულ, სცენა, რომელზედაც გიორგი სოსიაშვილი საუბრობს ქვეთავში `სანთელი ყველასათვის~, ჩვენიცხოვრების მეტაფორაა, სადაც მუდმივად ნიღაბაფარებულები დავიარებით. ზოგჯერ დიდ სცენაზე ავდივართ და გარკვეულ ცხოვრებისეულ წარმატებას ვაღწევთ, ზოგჯერ კი მცირე სცენაზე გვიწევს წარმოდგენის გამართვა _ წარუმატებელი ეტაპებიც არცთუ იშვიათად გვაქვს ხოლმე, ანუ, როგორც ავტორი ამბობს: `საწალდი გვაქვს ცხოვრების ტევრი~. ბოლოს ყველას ცხოვრებაში დგება სცენის აშლის ჟამი, ამ დროს უფალთან შიშველი სულით წარვსდგებით და ერთბაშად მოვინდომებთ ცოდვებისაგან განძარცვას, მაგრამ, ვაი, ჩვენ, ცოდვა-ბრალის სიმძიმით წელმოკაკვულებს _ ამ გარდუვალობას კიდევ ერთხელ შეგვახენებს გიორგი სოსიაშვილის წიგნი. ყველაფერს თავისი დრო აქვს... არაფერი უფლის ნების გარეშე არ ხდება... არის ამ ყველაფერში გარკვეული მისტიკა _ ამ წიგნის დაწერა რომ არ შეფერხებულიყო, ახლა მას, ალბათ, სხვა რედაქტორი ეყოლებოდა. ჩემმა, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსის ბედმა, ისე ინება, რომ მწერალ გიორგი სოსიაშვილს `გადამყარა~. ეს რამდენიმე თვის წინ მოხდა. ამ გაცნობიდან ცოტა ხანში დაიწერა `თეთრი ქალაქი~. თავიდანვე ასე განსაზღვრა ზეციურმა შემოქმედმა _ ამ მადლით მოსილ წიგნს მაინცდამაინც ჩემს ხელში უნდა გაევლო და მეც უნდა მეგემნა, იმ მიწიდან გადმოსული მადლი, რომელიც უზენაესის აკვნად იქცა. იორდანის წყალში ნადებ ქვას რელიკვიად ინახავს გიორგი სოსიაშვილი და ამბობს: `თითქო ეს ქვა მე მიცდიდა, მე მელოდებოდა...~ ზუსტად ასე ვიტყვი მეც: თითქოს ეს წიგნი მე მიცდიდა, მე მელოდებოდა, მისი ავტორის ემოციებისა და განცდების თანამონაწილე რომ გავმხდარიყავი. `რომ შემეძლოს, სელმა ლაგერლოფის მოთხრობის გმირივით ანთებულ სანთელს წამოვიღებდი მაცხოვრის საფლავიდან და ამ ცეცხლს ყველას ჩამოგირიგებდით~, ვკითხულობთ ნაწარმოებში. მაცხოვრის საფლავიდან გადმოსული ცეცხლის მადლი მაცოცხლებელ წყაროსავით იღვრება `თეთრი ქალაქის~ ფურცლებიდან.

თამარ გელიტაშვილი